№ 336. პარასკევი, 10 ოქტომბერი. 1896—1897 პარასკევი, 10 ოქტომბერი, **№ 336.**

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

სათავად-აზნაურო თეატრი

პარასკევს, 10 ოქტომბერს
გაიმართება წარმოდგენა საქვეყნოდ განთქმულის და ცნობილის

საუცხოვო სანახაობა

ლიუმიერის სინემატოგრაფისა

Синематографъ Люміэра
(ცხოველი და მოძრავი სურათები ფოტოგრაფიისა)
წარმოდგენები იქნება 4 ნაწილად და 70 სურათად
ხელმწიფის დაგვირგვინებისას და რუსთ-ფრანგების დღესასწაულს
ქალების ჩხუბი ☛ **ხმალში გასვლა** ☛
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე
ბილეთები იყიდება ყოველ-დღე კასაში
(1—1) ადმინისტრატორი გ. ტ. აქსენოვი.

ქართული თეატრი
სეზონი 189⁷/₈ წ.

ქართული დრამატიული საზოგადოებისაგან ამ სეზონისათვის მოწვეულნი არიან შემდეგი არტისტნი: ქ.ქ. ეფ. ს. **მესხი**, **ჩერქეზიშვილისა**, **გამყრელიძისა**, **კარგარეთელი**. **საყვარელიძისა**, **რჩეულოვისა** და სხვა.

გარდა ამისა სეზონში დებიუტები ექნებათ ქქ. **რაისელისას** და **რიონელისას**.

ბ.ბ. **ვ. აბაშიძე**, **კ. მესხი**, **გ. გედევანოვი**, **ს. სვიმონიძე**, **გ. გამყრელიძე**, **კ. შათირიშვილი**, **გ. კანდელაკი**, **ი. მჭედლიშვილი**, **ა. ადამიძე**, **კორინთელი**, **კარბელი**, **საფაროვი**, **გვარამაძე**, **აბრამოვი** და სხვ.

სცენარიუსი ა. თუმანიშვილი. სუფლიორი ნ. გოლუსტოვი.
რეჟისორი **კ. ს. მესხი**

სეზონის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი არტისტი-ქალები **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა** და **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა**.

რეპერტუარი შესდგება ორიგინალურ თხზულებებიდან: ე. გაბაშვილისა, ა. წერეთლისა, გ. სუნდუკიანცისა, ა. ცაგარლისა, ბ. გ—ლისა, გულისაშვილისა, ვ. გუნიასი და სხვ.; აგრეთვე ახალი ნათარგმნი პიესებისაგან.

იყიდება აბონემენტი თეატრის კასაში 11—1 საათ. ყოველ-დღე.

ხე-ტყის ქარხანა და შეშის საწყობი

თავ. ნიკოლოზ ესტატეს ძე თარხნიშვილისა
ტფილისი, ვერაზე, ოლგის ქ., მაკაროვის მამულში
იყიდება ყოველ-გვარი ხე-ტყის მასალა, შეშა მუხისა, რცხილისა, წიფელისა, ფიჭვისა და სხვა, ქვა-ნახშირი და ჩვეულებრივი ნახშირი, ქერი.
ფასი ყველაფერზე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი.

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ и ДРОВЯНОЙ СКЛАДЪ
Кн. Николая Евст. Тархангъ-Моуравова
Тифлисъ на Верѣ, Ольгинская улица, имѣніе Макарова (противъ Кирпичной улицы)
ПРОДАЮТСЯ:
Разные строительные матеріялы. Каменный и древесн. уголь
Дрова: грабовыя, дубовыя, чинаровыя и пр. породъ. Ячмень.
Цѣны на всѣ предметы общедоступны.
Ручательство и гарантія (30—7)

ექიმი კ. კ. თოფურიძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე
დილით—8—10 საათამდე **საღამოთი—5—7** საათამდე
ხოლო სამშაბათსა, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი
ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)
ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ
Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—20)

ველოსიპედები 1897 წ.

(თვით-მავალი)
ყოველგვარი თავის მოწყობილობით.
ფასები იაფია
პირობები შეღავათიანი და ხელ-საყრელი
ПАНЦЕРЪ И ГЛУХОВСКІЙ
Тифлисъ, Дворцовая, д. Сараджева (во дворѣ)
Велосипеды. Швейныя машины.
საკერავი მანქანები
იაფად და შეღავათიანის პირობით
პანცერის და გლუხოვსკის
საწყობში
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში) (.0—4)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
მ. ლალიძის გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა **აკაკისა**

ნათელა

(ძველებური ამბავი)
იგი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
ფასი თითო აბაზი.
ვინც ის წიგნს ერთათ ნაღდ ფულზე იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს დადებითაც გაეგზავნება. (50—35)

Цѣна 1 шт. 2 р.
НАИЛУЧШІЙ ПОДАРОКЪ ДЛЯ САМОГО СЕБЯ
2 шт. 3 р. 75 к.
ШТЕМП.
ПОРТМОНЭ со ШТЕМПЕЛЕМЪ

(15—3)

საუკეთესო საფულე (პორტმონე) მშვენიერის ტყავიდან (აპოიკიდან) 5 განყოფილებით, 1 განყოფილება ვერცხლის ფულისათვის და ერთიც კერძოდ ოქროსათვის დასაკეტი ღილით.

ამავე საფულეს აქვს გაწყობილი კაუჩუკის ბეჭედი თავის წამლებით და სხვა მოწყობილობით.

ბეჭედში შეიძლება მოთავსდეს სახელი, მამის სახელი, გვარი და წოდება, ვინც-კი მოისურვებს. ზომა აქვს 2¹/₄×1³/₄ ვერშოკი.

აგრეთვე იყიდება ქალებისათვისაც კოხტა, ლამაზი და მშვენიერი ზომით 1³/₄×1¹/₂ ვერ. იმავე ფასში.

ამგვარივე საფულეები, ხოლო უკეთეს მასალიდან შაგრენის და ტიულენის ტყავიდან 50 კ. მეტია.

ფასები გაგზავნით ყველგან რუსეთის იმპერიაში ერთის 2 მან., წყვილისა 3 მან. 75 კაპ.

გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

Требованія прошу адресовать	Въ контору фабрики америк. каучук. штемпелей М. ФИШМАНЪ ВАРШАВА Бѣлянская 18	Просятъ ссылаться на настоящее изданіе

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულიძისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ანდერსენის სახ. № 100.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловск. ул. № 100.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полными пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ.
(150—14)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ჩ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1¹/₂ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1¹/₂—2¹/₂ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

Лѣчебница *С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნების მაღაზიაში
იმედაშვილისა, ჭელიძისა და ორმოცაძის გამოცემა № 5

გლეხის ნაამბობი

ტეტია და ტირაკუზა
და სხვა ლექსები **დ. მაჩხანელისა**
სუფთად დაბეჭდილი, შეიცავს 39 გვერდს 5 კაპ.
მსურველთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ მისამართით:
Книжная торговля І. Имедашвили и С. Челидзе
Тифлисъ. (5—4)

კანონი და მთავრობის განკარგულება.

—

სამხედრო უწყება. უმაღლესად ებოძა: პოდპრაპორშჩიკს 153 ბაქოს პოლკისას კორინთელს—პოდპორუჩიკობა.

გადაყვანილ იქმნა: 45 დრაგუნთა სევერის პოლკის კორნეტი მამაცაშვილი 43 დრაგუნთა ტვერის პოლკში.

ახალი ამბავი

—

⁂ **საინტერესო ხელთ-ნაწერი.** ჩვენ ვნახეთ ერთი ფრიად საინტერესო ხელ-ნაწერი, რომელშიაც მოთავსებულია რამდენიმე ძველი, სახელ-განთქმული მოთხრობა. წიგნი სამაგალითო ხელით არის დაწერილი მოსე ბახუტის ძე ყორღანოვისაგან, რომელსაც იგი თავის მეგობრის სტეფანე მამულოვისათვის გადაუწერია 1813: „უფალმან... მოახმაროს შექცევასა და სიხარულსა შინა და ჩვენდა საგონებლად. ამინ“. წიგნი იწყობა „ბარამიანით“—გვ. 1—187, რომელიც გადამწერის ლექსით არის დამთავრებული. ამ ლექსში სხვათა შორის სწერია: „ესე წიგნი ადრე არის საკითხავი სპარსელთაგან, თარგმანილი ქართველთათვის მეფისა ვახტანგისაგან“... ბარამიანს მისდევს „ლექსი მუნასიბი. თქმული მეფისა თეიმურაზისაგან. მანბჭობა ვარდისა და ბულბულისა“ გვ. 188—207.

208 გვ. ორად არის გაყოფილი და მოხსენებულია, როდის (ერთის მხრივ) რა (მეორეს მხრივ) სიმღერა უნდა ითქვას. მაგ. „ნიშანზედ მაყრული“—„იგი საძღვნოდ მისად დასხნეს, ვისი შუქი ანათებდა“. 209—200 გვ. მოქცეულია „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა და ერთმანერთის ძვირის ხსენება“ ლექსად.

მას მისდევს ლექსადვე ამბავი „ლეილ მეჯნურისა. პირველად სპარსულად ნათქვამი და მეორედ ახლად ნათქვამი ლექსად პატრონის თეიმურაზისაგან“ 221 ბოლოს გვ. აღურიცხველად არის „ამბავი უსუფ ზილიხანისა ლექსად“ და პროზა უსათაუროდ უბედურის ამბავი, რომელსაც „ანჩხლი ცოლი ჰყვანდა“.

კარგი იქნებოდა წ. კ. გ. საზოგადოებისაგან გაგვეგო რამე ამ თხზულებათა შესახებ.

⁂ **თავ. ნ. დიასამიძის მოკვლის საქმე.** თავ. ნ. დიასამიძის მოკვლის საქმეს ტფილისის ოლქის სასამართლო ქ. გორში განიხილავს 13 ნოემბერს. ამ საქმეზე 14 მოწმე დაბარებული.

⁂ **აკაკის ლექსი რუსულად.** რუსულ ჟურნალ „В. И. Л.“-ს უკანასკნელს (ოქტომბრის) №-ში აკაკის „ქართველი დედა“-ს თარგმანია დაბეჭდილი. ლექსი უთარგმნია რუსის ახალგაზდა პოეტს ვ. ლებედევს, რომელიც გაზეთ „კავკაზ“-შიაც სწერს ლექსებს.

⁂ **ქალაქის გამგეობის წევრს ე. გ. ხოსროევს** სამსახურის ვადა უთავდება 28 ნოემბერს და იმ დროისათვის დანიშნულ იქმნება არჩევანი მის მაგივრად წევრის ასარჩევად.

⁂ **ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი.** წელს ამ სასწავლებელში სულ 214 მთხოვნელი ყოფილა მიღებისა. ამათში ეგზამენებზე გამოცხადებულა 202 ყმაწვილი და მათგან მხოლოდ 96 შეგირდი მიუღიათ: 38 რუსი, 36 სომეხი და 22 ქართველი. დანარჩენთა უმრავლესობა-კი ადგილის უქონლობისა გამო ვერ მიუღიათ სასწავლებელში.

⁂ **[illegible] თედეშვილის საქმე.** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს უკვე წარუდგენია სასამართლოსათვის საბრალდებულო ოქმი ავაზაკის თედეშვილისა და რვა მისის ამხანაგის შესახებ. გაზ. „კავკაზ“-ს შეუტყვია, რომ ეს საქმე შესაძლებელია სამხედრო სამსჯავროს გადაეცეს განსახილველადო.

⁂ **ითარგმნება „პირველი ცნობები ანთროპოლოგიიდან“,** პადუანის უნივერსიტეტის პროფესორის კანესტრინისა. წიგნში მოთხრობილია პირველი ცნობები ისეთს საყურადღებო მეცნიერებიდან, როგორიც არის ანთროპოლოგია. წიგნი მეტად საინტერესოა და შეეხება ველური ხალხის ცხოვრების აღწერას და შედარებას განათლებულ ხალხებთან.

⁂ **ცეცხლის მქრობელის რაზმის უფასოდ მოგზაურობა რკინის გზით.** ცეცხლის მქრობელს რაზმს, მის მანქანებს და იარაღებს უფასოდ ატარებენ ხოლმე რუსეთის ყველა რკინის გზებზედ, როდესაც იგი თავის მოვალეობას ასრულებს და ცეცხლის ჩასაქრობად სადმე მიეშურება.

⁂ **გზათა სამინისტროს წეს-რიგის შეცვლა.** 1898 წ. 1 იანვრისათვის გადაწყდება საკითხი, თუ როგორ შეიცვალოს წეს-რიგი გზათა სამინისტროს უწყებისა.

⁂ **მოხელე ქალნი სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში.** ფინანსთა სამინისტროს ნება დაურთავს, რომ მომავალ წლიდამ სახელმწიფო ბანკის პროვინციალურ განყოფილებებში მიიღონ ხოლმე სამსახურში ქალებიც.

⁂ **მაზრის ახალი ექიმები ბაქოს გუბერნიაში.** კავკასიის სამკურნალო მმართველობაში ამ ჟამად აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ ლენქორანის, გოგჩის და ჯევათის მაზრებში (ბაქოს გუბერნია) დანიშნულ იქმნან ერთის მაგივრად ორ-ორი ექიმი თითოეულს მაზრაში და გარდა ამისა თითოეულს მათგანს დაენიშნოს დამხმარედ ერთი უფროსი და ერთიც უმცროსი ფერშლები. ეს შუამდგომლობა იმის გამოუწვევია, რომ ხსენებულს მაზრებში თითო ექიმი ვერ ასწრობს თავისის მოვალეობის აღსრულებას და ადგილ-მდებარეობაც მაზრებისა ისეთია, რომ ვერ გასწვდება ერთი ექიმი ყველა სოფლებს. ახალის შტატის თანახმად მაზრის ექიმს ჯამაგირად ექნება წელიწადში 1355 მანათი, ხოლო ფერშლებს: უფროსს—375 მან. და უმცროსს—300 მან. წელიწადში.

⁂ **ოზურგეთი. საამხანაგო წიგნის მაღაზია.** „ცნობის ფურცელში“ უკვე იყო მოხსენებული, ოზურგეთში საამხანაგო წიგნის მაღაზია უნდა გახსნანო. მომავალს წიგნის მაღაზიას აზრად ექნება თავის დროზე მიაწოდოს ახლად გამოსული წიგნები, სახელმძღვანელოები და ყოველგვარი საკანცელარიო ნივთები სოფლის სკოლებსა, წიგნთ-საცავებსა და სოფლის საზოგადოებათა კანცელარიებსა. ამ სასიამოვნო განზრახვას, საცაა, საქმედ განხორციელება ეღირსება. რამდენჯერმე შეიკრიბნენ ამ საქმისათვის, შეიმუშავეს წესდება და ამხანაგობის მმართველადაც ერთი ადგილობრივის ინტელიგენციის წევრი ბ-ნი თუმანიშვილი დაასახელეს. ამხანაგობა გამოსცემს პაებს, თითო პაი ეღირება თითო თუმანი. ამ თავით 12 წევრები დამფუძნებლები ურთერთ შორის ნოტარიულის წესით პირობას შეკრავენ.

— **ამბულატორიის გახსნა.** სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ მეორე ამბავიც ადგილობრივის ცხოვრებისა ოზურგეთის თვით მართველობის მეცადინეობით აქ ლაპარაკია აღძრული ამბულატორიის (საავადმყოფოის) გახსნის შესახებ. უნდა მოიწვიონ ოთხი ექიმი. სამი უკვე ჰყავთ სახეში (ორი სამხედრო ექიმები ადგილობრივის დრუჟინისა ბ-ნნი ივ. თიკანაძე და გოგავა და მესამეც მაზრის ექიმი, რა თქმა უნდა, თუ ეს უკანასკნელი დასთანხმდა), ხოლო მეოთხე სხვაგნიდან უნდა მოიწვიონ და წლიურ ჯამაგირად 1,200 მანეთი უნდა დაუნიშნონ. ახლა მაინც ეშველება ოზურგეთის გარეშემო სოფლების მკვიდრთ! აქ ახლა ავადმყოფნი ურმით ჩამოჰყავთ სოფლებიდამ და სანამ ექიმის რჩევას ეღირსებოდეს, ქუჩაში უნდა იდგეს ყოველგვარს დარში-[illegible] ყოველ ასეთის საცოდაობის მოწამე ოზურგეთი. მაშინ ამასაც მოეღება ბოლო.

— **ადმინისტრაციის მხნეობა.** მაზრის ადმინისტრაციაც გულ-მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ საქმეში. მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ალ. გამრეკელი სოფლებში დადის და ხალხს უხსნის მომავალის ამბულატორიის საჭიროებასა და სარგებლობას და ურჩევს, რითაც კი შეგიძლიათ, მხარი მიეცით ქალაქ ოზურგეთსაო. მისის რჩევით, დუაბზუს საზოგადოებამ უკვე შეადგინა განაჩენი და პირობა დასდვა წლიურად 200 მანეთს გავიღებთო. ბ-ნი გამრეკელი სცდილობს, ამგვარივე განაჩენი სხვა სოფლის საზოგადოებათაც შეადგენინოს.

— **ქალაქის საკეთილდღეოდ.** იმავე კრებაზედ გადაწყვეტილი იყო იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ ოზურგეთს შემწეობა მიეცეს ფულით ნატანების გზის კეთებაშიო. დაადგინეს აგრეთვე ეტლების ნიხრი. ახლა კერძო ეტლები ნაირ-ნაირად ახდევინებენ მგზავრთ ქალაქ გარეთ გასვლისათვის ქირას. თვით მართველობის დადგენილობის თანახმად, კერძო მეეტლეებმა „კომპანიის“ (მეეტლეთა ამხანაგობის მიერ) შემოღებულის ნიხრით უნდა იხელმძღვანელონ. გადასწყდა ისიც, რომ მომავალის წლის სმეტაში 200 მანეთი მეტი შეიტანონ ქალაქის უფრო უკეთესად გასანათებლად და ფარნების მისამატებლად.

ბახმაროელი.

⁂ **თიანეთი. კახეთის რკინის გზის გამო.** ამ ჟამად თიანელთა და მთელად კახელების სალაპარაკო—საბაასო საგნად შეადგენს კახეთის მომავალის რკინის გზის გამოკვლევას და მისი მიმართულებას. ბევრ გვარად სჯიან და ჰკერავენ ამ საგანს კახელები, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ხალხის ხმას ყურადღებას არავინ აქცევს და ამ საქმისათვის დანიშნულნი პირნი თავისებურად

თეატრის მატიანე

ქართული თეატრი ქუთაისში

I

„არა პურითა მარტო ცოცხალ არს კაცი“... ეს მარტივად გამოთქმული ღრმა ჭეშმარიტება უნებლიედ გაგიელვებს თავში, როდესაც ქუთაისის ყოველ-დღიურს ცხოვრებას აკვირდები. არა მგონია, სადმე დედამიწის ზურგზე რომელსამე ქალაქში ისე უფერულად და ერთგვარად მიმდინარეობდეს ცხოვრება, როგორც ქუთაისში. არ დაივიწყოთ, რომ ქუთაისი გულია იმერეთ-გურია-სამეგრელოსი და, მაშასადამე, ეს გული მუდამ სიცოცხლით უნდა სძგერდეს, რადგან იმერელი, გურული და მეგრელი ძველთაგანვე მკვირცხლობით არიან განთქმულნი. რომ ცხოვრების უფერულობა, ერთგვარობა, სხვათა შორის, ხალხის ტემპერამენტზე, მის ხასიათის უმთავრეს თვისებაზე არის დამოკიდებული—ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა.

საფრანგეთის ცხოვრება არამც თუ ახლანდელს დროში, ძველადაც სდუღდა და გადმოდიოდა. არც ერთს ხალხს არ უსარგებლნია ისე უხვად განათლების ნაყოფით ცხოვრების მრავალ-მხრივად გასაუმჯობესებლად, როგორც ფრანგებს. ბუნებრივმა მკვირცხლობამ და თავაზიანობამ გახადა ფრანგი ლოტბარად მთელის კაცობრიობისა, დააარსებინა პარიზი, ის მშვენიერი და საკვირველი პარიზი, რომელიც სამართლიანად ითვლება თვალად მთელის ქვეყნიერებისა. ძალზე განვითარებული ესტეტიური გრძნობა და ცნობის მოყვარეობა ჩვენის დროის კაცისა პოულობს კმაყოფილებას მხოლოდ საფრანგეთის სატახტო ქალაქში, სადაც მოთავსებულია დიდებული ტაძრები ხელოვნებისა ყველა ქვეყნების გენიოსთა ნაწარმოებით. იქნება ინგლისელი ან გერმანელი ფრანგზე უფრო მაღლა იდგეს განათლებით, ხოლო ის-კი ცხადია ყველასათვის, რომ განათლებული ინგლისელიც და გერმანელიც თავისს სამშობლოდან მიეშურება პარიზში სულის მოსაბრუნებლად, სიცოცხლით დასატკბობლად. ფრანგებს მოყვრებთან მტრებიც ბევრი ჰყავს; პირველნიც და მეორენიც ერთხმად აღიარებენ, რომ ღმერთს მხოლოდ ფრანგისთვის მიუცია ზნე, ნიჭი ამ ქვეყნის სამოთხედ გადაქცევისა. ვის უქებენ საქვეყნოდ მხიარულებას, შექცევას, დროს გატარებას, თუ არა ფრანგს? მკვირცხლმა ფრანგმა არ იცის, რა არის მოწყენა და კიდეც მისთვის არის, რომ ის ისე ჯან-ცხოველია, ყველაფერი ემარჯვება, ბედს არ ემდურის და არ სჩივის:

„სიცოცხლევ ფუჭო, უბრალო ნიჭო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზეცასა!..“

ნურავის ნუ გაუკვირდება, ნურც გაეცინება, რომ ქართველებზე და ქუთაისზე ჩამოვაგდე ლაპარაკი და უცებ ფრანგებზე და პარიზზე გადავედი. ხომ გაგიგონიათ, ნათქვამი—დიდებულსა და სასაცილოს შორის ერთი ნაბიჯი-ღა არისო! ან-კი რა დიდი კადნიერებაა ამ გვარი შედარება? რათ უნდა დავმალოთ, რომ ღმერთს ჩვენთვის იგივე ტემპერამენტი, იგივე ბუნებრივი მკვირცხლობა ურგუნებია, რაც ფრანგებისთვის? მხოლოდ სავალალო ის არის, რომ მიუხედავად ამისა ჩვენი ცხოვრება ფრანგებისას სრულიად არაფრით არა ჰგავს.

რისთვის არ გვიყვარს ჩვენ ფრანგებივით ცხოვრების სხვა-და-სხვაობა? რა მიზეზია, რომ დილიდგან საღამომდის, როდესაც მოცლა გვაქვს მტვრიანს ქალაქის ბაღში დავეხეტებით და უაზროდ შევყურებთ ან მაღლა ცას, ან აკოფოვის უზარ-მაზარს შენობას? თუ წმინდა ჰაერი გვჭირია და სეირნობა გვინდა, მერწმუნეთ ამისთვის უფრო კარგი ადგილებიც მოიძებნება.—თუ ორი ნაბიჯის გადადგმა არ დაგვეზარება, ქუთაისში ისეთს ადგილებს ვიპოვით სასეირნოდ, სადაც სულიც დასტკბება, გულიც და თვალიც. მაგრამ ჩვენ იქ-კი არ მივდივართ, იმ საუცხოვო, ედემის მსგავს ადგილებში, რომელთა სანახაობა თვით უბირს კაცსაც გულს აუშლის სატრფიალოდ და სიცოცხლეს შეაყვარებს, არა, ჩვენ ვრჩეობთ ისევ იმ შუაგულ ქალაქში, მოწამლულს ჰაერში ყოფნას და ჭორიკანობას.

ოჰ, რა ტკბილია ეს ჭორიკანობა! რა ტკბილია სხვისი გაკილვა, ძაგება!.. მე ვიცნობ მისთანა კაცებს ქუთაისში, რომელთაც ქალაქის ბაღში გასვლა ისეთ ჩვეულებად-კი არა, თითქმის ბუნების მოთხოვნილებად გარდაქცევიათ, როგორც სმა და ჭამა. რას იზამ, „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო“!..

ქუთაისში დიდ-ძალი საზოგადოებაა; ამ საზოგადოებაში განათლებულიც ბევრი ურევია და გაუნათლებელიც. გულ-წრფელად უნდა აღვიარო, რომ სწორედ არ ვიცი, რით იკმაყოფილებს სულის მოთხოვნილებას, განვითარებულს ესტეტიურ გრძნობას ეს საზოგადოება. რა დასაჯერებელია, რომ დღეს არსებობს სადმე მისთანა საზოგადოება, რომელიც მარტო მუშაობით, ჭამით და სმით კმაყოფილდებოდეს. ვინ არ იცის, რომ მუშაობაც მაშინ არის ნაყოფიერი და სასარგებლო, როდესაც მას მოჰყვება მოსვენება, სულის და გულის გართობა, დაკმაყოფილება. არამც თუ განათლებულს საზოგადოებაში, პირველ ყოფილს ხალხშიაც სულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საპატიო ადგილი უჭირავს.

ქუთაისზე უფრო პატარა ქალაქებიც მინახავს და ვიცი, რომ ყველგან მოუგონიათ სასარგებლო გასართობი რამეები: მუსიკალური, არტისტული, სალიტერატურო წრეები და სხვ. ქუთაისში კი, ნურას უკაცრავად, ყველაფერი ეს მეტ ბარგად არის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკვლევენ გზის მიმართულებას, აგრეთვე გზის კომერციულის მხრივ დასაფასებლად საჭირო სტატისტიკურ მასალას თავისებურადვე ჰკრეფავენ.

გზის მიმართულებაზე, თუ ბევრი არა, ცოტა რამ მაინც ითქვა ჩვენს გაზეთებში, მაგრამ სტატისტიკურის ცნობების მოკრეფის შესახებ-კი, თუ არა ვცდებით, არაფერი თქმულა. იმის გარდა, რომ ხსენებულის ცნობების შესაკრებათ კახეთში გამოგზავნილი იყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის მოხელე ბ. დანიელოვიჩი. როგორ პირნათლად შეასრულა დანიელოვიჩმა მინდობილი საქმე, ნათლადა სჩანს კახეთის დედა-ქალაქ თელავში მის მიერ ცნობების შეკრების (?) წესრიგიდამ.

დანიელოვიჩმა თელავში მოსვლისთანავე მიმართა ქალაქის თავს და სთხოვა მოქალაქეთა მოწვევა იმის გამოსარკვევად, თუ თელავში რა და რა სავაჭრო შემოაქვთ გარედამ ან რა და რა სავაჭრო გააქვთ გარეთ-კახეთიდამაო? ქალაქის თავმა დაუყოვნებლივ შეუსრულა დანიელოვიჩს სურვილი და შეუდგნენ კიდეც საჭირო ცნობების გამორკვევას, მაგრამ დახე, უბედურებას, მოქალაქეთა მოწვევა-მოცდენა სულ ტყუილი გამოდგა, რადგან თვით დანიელოვიჩს, თურმე, წინდა წინვე სცოდნოდა რაოდენობა, როგორც შემოტანილ სავაჭროსი, აგრეთვე გატანილ საქონლისა (გულთ-მისანობაა, მა რა ჯანაბაა!).

უჩინარი.

⁂ **ბათომი.** **სპილენძის მადნები.** ბათომში განზრახვა აქვთ გამართონ სპილენძის სადნობი ქარხანა ამისათვის, ერთს ამხანაგობას გაუგზავნია მდ. ჭოროხის ნაპირებზე თავისი ინჟენერი სპილენძის მადნების დასათვალიერებლად და მათის თვისების გამოსაკვლევად ამ საქმისთვის გადადებულია 200 ათასი მანათი.

— **ნავთის წარმოება.** ბათომში ნავთის წარმოებამ იმატა. აქნობამდე შეჩერებულსა და მიძინებულს საქმეს გამოღვიძება ეტყობა; საზღვარ გარეთაც დიდ-ძალი ნავთი მიაქვთ ბათომიდამ.

— **ასფალტით ქუჩას მოფენა.** დიდი ხანია ველოდებით ასფალტით მოფენას მარიინის პროსპექტისა და შეპელელევის ქუჩისას. ბოლოს როგორც იქმნა, გადაწყდა ამ საქმისთვის დაიხარჯოს 38000 მანათზედ მეტი და ეგ ხარჯი უნდა შეავსონ $^1/_5$ ფუთეულის ბაჟიდამ.

— **ბათომიდამ კაპანდიდამდე რკინის გზის შტო.** ბ-ნ სალერნის, რომელმაც ნება რთვა მიიღო ბათომიდამ კაპანდიდამდე რკინის გზის გაყვანისა, განზრახვა აქვს ეგ შტო კაპანდიდამ განაგრძოს მდ. ჭოროხამდე, სადაც სპილენძის მადანია იმ აზრით, რომ მატარებელს ბარგი ექმნეს ხოლმე ამ მადნებიდამ, ამის გამო ბ. სალერნის ინჟენერები წაუყვანია და წასულა მდ. ჭოროხისაკენ ახალ ლიანდაგის გამოსაკვლევად.

— **უბედური შემთხვევა.** 6 ოქტომბერს, მართლ-მადიდებელს საკრებულო ტაძართან, რომელსაც აშენებენ ამ ჟამად აქ, წაიქცა ხის ბოძი, ერთს მუშას დაეცა და მოჰკლა.

— **ავაზაკის მდევნელთაგან ალალი კაცის მოკვლა.** ქ. ართვინში შემდეგი უბედურება მომხდარა: მილიციის იუნკერის ქვანიასათვის უცნობებიათ 3 ოქტომბერს, რომ მილიციონერად ნამყოფის ოსმან გუსეინის სახლში ავაზაკები იმალებიანო. ქვანიას მაშინვე წაუყვანია ჩაფრები და გარს შემორტყმია გუსეინის სახლს. სახლის პატრონს სდომებია შეეტყო, რა მიზეზია, რომ ჩემს სახლს ჩაფრები შემოეხვივნენო, და გამოსულა გარეთ ოთახიდამ. ამ დროს ერთს ჩაფართაგანს თოფი უსვრია (ავაზაკი ჰგონებია) და იქვე მოუკლავს. საბრალო ჰუსეინს 3 შვილი და მოხუცებული დედ-მამა დარჩენია. სახლი გასჩხრიკეს და ავაზაკები სრულებით არ აღმოჩნდა შიგ.

⁂ **ქ. დუშეთი.** **სეტყვა.** დუშეთის მაზრის ექიმს ქსანის საბოქაულოში 49 სოფელი დაუზარალებია წელს სეტყვას; 1478 დესეტინა მიწაზე სულ გაუოხრებია ჰირნახული და ვენახები, და 71,790 მანათის ზარალი მიეცათ მკვიდრთ. ამათგან 45 სოფელში მაინც სულ ერთიანად დაულეწია ვენახის ვაზები და საეჭვოა, რომ 1899 წლამდე რაიმე მოსავალი იქმნეს ღვინისა ამ სოფლებში.

რა თქმა უნდა, ეგ გარემოება მეტად სამძიმოა ამ სოფლებისათვის რადგან მათი მკვიდრნი უმისოდაც ათასნაირის მიზეზების გამო ფრიად დაცემულნი არიან ნივთიერად.

⁂ **ს. სტეფანწმინდა.** (დუშეთის მაზრა) **უწესოება სადგურზე.** 26 ენკენისთვეს მომიხდა სოფ. სტეფანწმინდას წასვლა. მივედი სადგურზე და სკამზედ დავჯედი. სულ არ გაუვლია ორ წუთსა, მოცვივდნენ სოფლის მწანწალა ბიჭები და თან გაარბენინეს მთის ბროლები ასტეხეს ერთი ალიაქოთი, გინდა თუ არა, ბროლი უნდა იყიდოო. იძულებული გავხდი მეყიდნა რამდენიმე და წავსულიყავ ბინაზედ, სადგურში, მაგრამ დამედევნენ უკან და დაიწყეს: „вотъ баринъ мой лучи, его не хороши“ და სხ. ერთის სიტყვით, ისე თავი მომაბეზრეს, რომ იძულებული შევიქმენ შემეტყობინებინა, სადგურის ზედამხედველისთვისა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ზედამხედველმაც ვერაფერი გააწყო. მოვიდა ამ დროს ქ. კავკავიდან ერთი ეტლი და თქვენს მტერს დაადგეს დღე, რაც ეტლში მსხდომს მგზავრებს დააყენეს. მერე ვკითხე იქ ჩემს ნაცნობს: მარტო დღეს ჩაიდინეს ეს საქმე, თუ ყოველდღე ამ ყოფაში არიან მეთქი? იმან მომიგო: „დღეს ნახევარნიც არ იყვნენ, უნდა გაჩვენათ კვირა-უქმე დღეობათ, რა ყოფას აყენებენ მგზავრებსა“. ურიგო არ იქნებოდა, ადგილობრივი პოლიცია თვალ-ყურს დაიჭერდეს და აუკრძალავდეს მგზავრის შეწუხებას, მათხოვრობას.

ალექსი ოგბაიძე.

⁂ **გუდაუთა.** **თამბაქოს მოსავალი.** გუდაუთში დიდძალნი თამბაქოს მყიდველნი მოვიდნენ სხვა და სხვა დაბა ქალაქებიდამ. ფუთი თამბაქო იყიდება 12—16 მანათად. თამბაქო ბევრი და კარგის თვისებისა მოვიდა და გასავალსაც საუცხოვოს მოელიან.

⁂ **ს. მღვრეკისი.** (ქართლი.) **აქაური სამრევლო სკოლა.** მღვრეკისში ამ წლის იანვრიდგან ადგილობრივის მღვდლის, მამა კენჭაძის მეცადინეობით სამრევლო სკოლა დაარსდა, ხოლო ამ წლის ოცდახუთ მარიამობის თვიდგან დანიშნეს მასწავლებლად ქალი ან. დავითიშვილისა. სოფელში სკოლა გაიხსნა მაგრამ ამ კეთილ საქმეს სრულებით არ თანაუგრძნობენ აქაურები და დახმარებას არ უწევენ. თვით სკოლა გამართულია მ. კენჭაძის სახლში, რომელმაც სოფელს სკოლისათვის სამს წლობით დაუთმო ერთი ოთახი, მაგრამ ეს ოთახი ძრიელ პატარაა და სკოლისათვის ძრიელ უხერხულია. ამის მიუხედავათ, სოფელი სრულებით არა ცდილობს სკოლის გაუკეთესებას. ამ სოფელს აქვს პურის მაღაზია, რომელიც, თუ შეკეთდა, მძრიელ კარგი იქნება სკოლის დარბაზად, მაგრამ სოფლელები ყურს არ იბერტყენ და „დღეს ხვალ, ზეგ“—გაიძახიან. მაღაზიის სკოლად გადაკეთება კი სოფელს ბევრი დაუჯდება, მით უმეტესად, რომ არხიმანდრიტმა შესწირა თხუთმეტი მანათი და თხუთმეტი კოდი პური სკოლის შესაკეთებლად, ამ გვარი დახმარება ყოველ წლიურადაც აღუთქვა თვით მ. კენჭაძემაც: წელიწადში სამი თუმანი აღუთქვა სკოლას. ასე რომ ეს ფული სრულებით საკმარია სკოლის შესაკეთებლად, მხოლოდ საჭიროა კარგი მოთავე და საზოგადო საქმის გულშემატკივარი. მით უფრო საჭიროა სკოლის ჩქარა შეკეთება, რომ მასწავლებელს საცხოვრებელი ოთახი არა აქვს. თვით ამ სოფელში სამთლიით რომ ეძებოთ, ერთ სუფთა ოთახს ვერ იპოვით ასე, რომ მასწავლებელი ერთ გლეხის სახლში დაადგა. ეს სახლი ძრიელ დიდია დასე გასინჯეთ, ფანჯრებიც კი არა აქთ.

სასურველია, რომ საკმაო ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და დააშურებინონ მაღაზიის შეკეთება, რითაც იხსნიან მასწავლებელს ტანჯვა-წვალებისაგან, მეტადრე ცუდ ამინდში, როდესაც ვიწრო და უსუფთაო ქუჩები ამ სოფლისა მუხლებამდინ ტალახით არიან გავსილნი. მით უფრო საძნელო იქნება მასწავლებლისთვის ცუდ ამინდში სიარული, რომ მისი საცხოვრებელი ოთახი სკოლიდგან ერთის ვერსის მეტს მანძილზე იმყოფება.

ჭ. იორამი.

⁂ **ბასილეთი** (გურია). **მამასახლისის თავ-გადასავალი.** 30 ენკენისთვეს, ორშაბათს, როცა მთელი გურიის მკვიდრნი წლის სარჩოს შეკრებაში იყვნენ გართულნი, ბასილეთის სოფლის სასამართლოში ერთი კაი სურათი ვნახე.

დილით წინ ღამით ქორწილში ნაქეიფარი მამასახლისი და ერთი მისი მრევლთაგანი მოვიდნენ; მამასახლისს მისმა მრევლთაგანმა ილ. მ—შვილმა დაუწყო უშვერი ლანძღვაგინება (ალბათ წინანდელი სიმწარე რამ ახსოვდა), რისთვისაც რის ვაივაგლახით იქვე საპატიმროში ატკუცვიეს თავი, მაგრამ აქ მ—შვილმა აჭყარა ქვეშა იატაკი და შინისკენ გაჰკურცხლა. შინ-კი მიჰმართა ვახტანგის თუ მოსეს კანონს და გასტენა მამა-პაპური თოფი ტყვიით, კვლავ ესტუმრა მამასახლისს სამმართველოში და ენება მისი მოკვლა, მაგრამ, საბედნიეროდ, თოფს ხელი აუკრეს და ტყვია ჭერში ჩარჩა. რასაკვირველია, მამასახლისი გადარჩა და შეიძლო ბრძანების გაცემა, რომ მ—ლი გაებაწრათ და ჩოხატაურის ბოქაულის წინაშე წარედგინათ, რაიცა კიდეც აღასრულეს. ამბობენ, და მეც ვემოწმები, რომ აქ მამასახლისიც ცოტა დამნაშავეა, რადგან დროზე, სიმთვრალის გამო, ვერ მიიღო შესაფერი ზომები მთვრა-

---

ჩნეული ერთმანერთთან მისვლა-მოსვლაც ოჯახებში მაინცა და მაინც არაფერს მოწონებაშია. ესეც ჩვეულების მიზეზი გახლავთ... ღამის ათს საათზე ქუთაისი ღრმა ძილშია, ქუჩებში არავინ ჭაჭანობს. სიცოცხლის ნიშანი მხოლოდ კლუბს ეტყობა: იქ გვიან ნაშუადღევსაც სისხლს აქცევენ მწვანე სტოლებზე ტანჯული ქაღალდის მოთამაშენი.. სიცოცხლის ნიშანი კიდევ ეტყობა ზოგიერთს დუქნებს და სასტუმროებს: იქ „მრავალ-ჟამიერით“ და „შუშხუნა მაჭრიან“ ჭიქებით ხელში ეგებებიან ცისკარს „ძმა-ბიჭები“. „გაუმარჯოს საქართველოსო“,—ამბობს ერთი ჩახლეჩილის ხმით, „გაუმარჯოს, გაუმარჯოსო“, ღრიალობენ სხვები, სანამ ჯერ კიდევ ენა ემორჩილებათ...

ამგვარს არა—სანატრელს სურათს წარმოადგენს ქუთაისის ყოველ-დღიური ცხოვრება. რასაკვირველია, დიდ ღვთისწყალობად უნდა ჩაითვალოს ამ გვარს მდგომარეობაში მყოფთათვის ის გარემოება, რომ ეხლა ხანდისხან მაინც ქართული წარმოდგენები იმართება ქუთაისის თეატრში. ბედმა გაგვიღიმა და რამოდენიმე კაცმა ითავა შარშან და წრეულს თეატრის საქმე. შარშან ტფილისელი არტისტების დახმარებით იმართებოდა წარმოდგენები და თუმცა ძვირად ჯდებოდა ტფილისიდგან ჩამოსულ არტისტების შენახვა, მაგრამ ბოლოს მაინც ცოტაოდენი წმინდა მოგებაც დარჩა ქუთაისის თეატრს. პირნათლად გამოვიდნენ თუ არა საზოგადოების წინაშე არტისტები და საქმის მოთავენი, ვარგოდა რეპერტუარი თუ არა—ეგ, რასაკვირველია, სადაო საკითხავია.

მე კი მგონია, რომ შარშანდელმა თეატრის საქმის გამგებლებმა ჰქნეს ის, რის ქნაც შეიძლებოდა მათს მდგომარეობაში. ორიგინალი პიესების სიძვირეს, ან უვარგისობას სჩივის საზოგადოებაო. რა ვქნათ? თუ კი ორიგინალი არ გვაქვს, ან არ გვივარგა, ვსთარგმნოთ სხვა ენებიდგან, ან გადმოვაკეთოთ მერწმუნეთ, არას წავაგებთ. განა რუსებს ბევრი ახალი ორიგინალური პიესები აქთ? ბევრი აქვთ, მაგრამ ხეირიანი სულ ცოტა ურევია მათში. რუსები იმას რჩეობენ დღეს, რომ ან ისევ ოსტროვსკის პიესები უჩვენონ ხალხს, ან კარგი უცხო ენებიდგან გადმოღებული პიესები.

წრეულს თვით ქუთაისში შესდგა დრამატიული დასი, რომელიც აპირებს წარმოდგენების მართვას მთელის სეზონის განმავლობაში. ცნობილ მსახიობთაგან დასში იმყოფებიან კნ. ავალიშვილისა, ბბ. ალექსეევ მესხიშვილი (რეჟისორი), ყიფიანი და აწყურელი. რეპერტუარი თავის დროზე იყო გამოცხადებული. ამ რეპერტუარში მოხსენებულია ბევრი ნათარგმნი კლასიკური პიესები, ისეთი პიესები, რომლების დადგმასაც კარგი მოთამაშეების გარდა სცენის კარგი მოწყობილება და ტანისამოსები დასჭირდება.

პირველს ოქტომბერს იყო პირველი წარმოდგენა ქუთაისის დასისა ამ წარმოდგენამ, ჩემის აზრით, ნათლად აჩვენა დამსწრე საზოგადოებას რომ არტისტებიც და თეატრის საქმის გამგენიც სინიდისიერად და მუყაითად ეპყრობიან თავიანთ საქმეს.

ითამაშეს ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია ვილდენბრუხისა „პირინეის მგელი“ („კაროლინგები“), რომელიც ეგრედ წოდებული სასცენო ეფექტებით სავსეა და შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, სხვათა შორის, სათეატრო მორთულობით (დეკორაცია) და მოქმედ პირთა ტანისამოსით. მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ პირველი წარმოდგენის სცენის მორთულობა და ტანისამოსები, წინაამდეგ მოლოდინისა, საქებარი იყო, ასე რომ ქუთაისის თეატრზე უკეთეს თეატრსაც ეკადრებოდა. ვისაც არაფერი აქვს, არც არაფერი მოეთხოვება და, მაშასადამე, დიდის მადლობის ღირსნი არიან ის პირები, რომელთაც დაუღალავის მეცადინეობით გაუჩინეს ჩვენს თეატრს ცოტაოდენი საშუალება ტანისამოსის და სხვა საჭირო ნივთების შესაძენად.

სანამ მოთამაშეებს შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა, რომ „პირინეის მგელის“ საგანი ისტორიულია და გვიხატავს იმ საშინელს განხეთქილებას, რომელიც ჩამოვარდა კარლოს დიდის მემკვიდრეთა შორის სამეფოს განაწილების დროს. ამ სამაგილითო სისხლის ღვრაში მონაწილეობას იღებდნენ შვილი და შვილის-შვილები იმ დიდებულის მეფისა, რომელმაც ფრანკთა სამფლობელოდ მთელი დასავლეთი ევროპა გახადა და რომში იმპერატორად ეკურთხა. ბედი კარლოსის სამეფოსი სწორედ ღირსია იყოს საგნად ტრაგედიისა!

წარმოდგენამ საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა და თუ ჩვენი საზოგადოება ყველაფრის ახირებას არ არის ჩვეული, კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო ამ წარმოდგენით. რასაკვირველია, „პირინეის მგელი“ უფრო კარგი სანახავი იქნებოდა ბერლინის ან ვენის მდიდრად მორთულს სცენაზე, მაგრამ ვისაც ბერლინში და ვენაში არ უნახავს ეგ პიესა ქუთაისში მაინც უნდა ენახა. მერწმუნეთ, სახლში მთქნარებას ან ქაღალდის თამაშს ეგ აჯობებდა. მოველოდით, რომ პირველს წარმოდგენაზე თეატრში ტევა არ იქნებოდა, მაგრამ გაგვიცრუვდა იმედი: პარტერში ბევრი ადგილი დარჩა გაუყიდველი...

ილ. პონტელი.

(დასასრული ხვალ.)

ლი კაცის წინააღმდეგ. მაინც ეგ მეორედ გადურჩა ჩვენი მამასახლისი სიკვდილს. ერთიც ამას წინად ხიდისთავში სამიკიტნო დუქანში ქეიფის დროს დაჰკრეს ბოთლი თავზე.

— **მოხუცი მამასახლისი.** შარშან, როცა მამასახლისის არჩევანი იყო, ერთი ქე მოინდომეს ბასილეთლებმა ნასწავლი კაცი დაეყენებინათ, მაგრამ რაკი მათს საზოგადოებაში ვერ იპოვნეს ღირსი ჯაჭვისა, სხვა საზოგადოებიდან კაცის სესხება ძლიერ ითაკილეს, თავი მოგვეჭრებაო და ამიტომ ისევ დააყენეს ერთი მოხუცი კაცი შემდეგის მოსაზრებით: მოხუცია და ცოტას იყოფინებსო... როგორ ჰფიქრობთ, ბასილეთლები ანგარიშის მცოდნენი არიან, გარედამ გასულები. ყველაფრის სცხვენიათ, მხოლოდ იმისი-კი არა, რომ მათი მეზობელი საზოგადოება ასკანა როგორ დაწინაურდა, რამდენზე გაასწრო მას, მაგას-კი არ ხედავს და არ ირცხვის, რომ 600 კომლიანი საზოგადოება 300 კომ. სთხოვს, შენი ჭირიმე, მამასახლისი გვათხოვე, ერთი შეგვიტყოს — ჩვენმა მამასახლისმა რამდენი „უცლიპურწა“ ჩვენი ფულებიო. ამის გასაგებათ შარშან აკეთის მამასახლისი ჰყავდათ, ხოლო წრეულს-კი ასკანისა ითხოვეს. ბარაქალა, ბასილეთლებო! სირცხვილია, რომ ვინმე ნასწავლი დაიყენოთ, თუ გინდ მეორე საზოგადოების იყოს. მაშ!

დამწერე აე-ყაა.

თეატრის მატიანე

ქართული თეატრი. გუშინწინ, 8 ოქტომბერს სათავად-აზნაურო თეატრში გამართა პირველი ქართული წარმოდგენა. წელს, როგორც მკითხველებმა უწყიან ქართულ თეატრის საქმეს განაგებს ამხანაგობა, რომელიც შესდგება ჩვენებური ახალგაზდა ინტელიგენტებისაგან.

პირველი წარმოდგენისათვის ამხანაგობას აერჩია ახალი პიესა, ცნობილის საფრანგეთის დრამატურღის პიესა ოთხ მოქმედებიანი კომედია „აი გიდი მეგობრებო“, თარგმნილი გოტე ბაქრაძის მიერ.

„აი გიდი მეგობრებო!“ როგორც პიესა სალიტერატურო თუ სასცენო მხრივ უკვე ცნობილია და მისი დადგმა ქართულ სცენაზე სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს. პიესა კარგის და მკვირცხლის ენით არის ნათარგმნი. პიესა ზნე-ხასიათის დამასურათებელი კომედიაა. ბევრს სასაცილო სცენებსა და მდგომარეობაში ნათლად იხატება ამ დროინდელი მეგობრობის სიმხატე და სიდუხჭირე, — ეს აზრი თეთრი ზოლივით გატარებულია მთელს პიესაში და მხიარულ სიცილის შორის მწარე ფიქრებსაც ჰგვრის მაყურებელს.

ერთი რომ გარემოება არ ეხამუშებოდა ქართველ მსმენელთ: სახელები ჟანით, დელარომოლერ, ლანსლო, ტოლზან და მრავალ სხვა. ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი საუკეთესო მსახიობნი და როგორც მოსალოდნელი იყო პიესა კარგად ჩაატარეს თავიდან ბოლომდე, იმის და მიუხედავად, რომ პიესა წარმოსადგენად ძნელია. ყველანი საერთოდ და ყოველი კერძოდ საკმაოდ მომზადებულნი და თავის ადგილზე იყო.

დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ პიესა მსახიობთ კარგათ მომზადებინათ და ეგრედ წოდებული ანსამბლი (ერთიერთობა) თვალსაჩინოდ იყო დაცული სამივე სცენის გარდა. საზოგადოდ რეჟისორის უნარიანი ხელის გავლენა აშკარად ეტყობოდა ამ საღამოს წარმოდგენას.

კერძოდ საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთი როლები ვ. ფ. მესხმა (სესილი), კ. მესხმა (ტოლზანი), ვ. აბაშიძემ (მარკი); გედევანოვმა (კოსადე) კანდელაკმა (ჟანით). და ჩერქეზიშვილმა (ჟანის ცოლი). ახალ მსახიობთა შორის კარგები იყვნენ საყვარელიძისა (ჟანის როლში) და გარელისა (რაფაელის როლში).

ეხლა ცოტაოდენი საყვედურებიც: პირველი მოქმედების პირველი ორი სცენა მკრთალი იყო; ეს რა თქმა უნდა იმით აიხსნება, რომ მოთამაშენი პირველად წარმოდგენაზე ცოტათი შეკრთნენ. მეტად უფერული იყო მესამე მოქმედებაში სცენა მოწმეებისა აბრაღებთან. საცხოველეს მოკლებული და ნამაღადევი იყო მესამე მოქმედებაში სცენა მორის დასესილის შორის: მათირაშვილს (მორის როლი) აკლდა ის, რაც უმთავრესი საჭირო იყო-კნება, გამშაგებული სურვილი და გრძნობათა ღელვა, რომელიც აკვიატებული ძალმომრეობით ამოქმედებს საყვარელ ქალთან... ბ-ნი მათირაშვილი ამჟამის როლში უხერხულად გრძნობდა თავის თავს, თუმცა მაგისთანა როლებისათვის გარეგნობა და უნარიც შესწევს, აკლდა მხოლოდ რწმენა, გამბედაობა. დიდი რამ არის მსახიობისათვის რწმენა.

არ შეგვიძლიან არა ღვნიშნოთ აგრეთვე ის გარემოება, სამწუხაროდ ჩვეულებრივი, რომ ჩვენი მსახიობნი უმეტეს შემთხვევაში ყვირიან და კი არ ლაპარაკობენ, დიახაც საჭიროა სცენაზე ხმა მაღლა ლაპარაკი, მაგრამ ზომიერებაც ხომ უპირველესი მცნებაა. სასურველია აგრეთვე, რომ ჩვენი მსახიობნი უკეთ თამაშობდნენ ჩვეულებრივ უბრალო სცენებს, სადაც არც გადამეტებული მოძრაობაა საჭირო და არცა ხმის აღმაღლება. მსახიობის ხელოვნება სწორედ უბრალო სცენებსა და ლაპარაკში მოსჩანს...

საზოგადოება წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა. ვ. მესხს, ვ. აბაშიძეს და კ. მესხს ტაშის კვრით მიეგება საზოგადოება. საზოგადოდ ყოველ მოქმედების შემდეგ მრავალ გზით იყვნენ გამოწვეულნი მოთამაშენი ტაშის კვრით და ვაშას ძახილით.

შემდეგი წარმოდგენა კვირას არის დანიშნული წარმოადგენენ სარდუსავე ცნობილ კომედიას „სანჟენს“.

ტასიაშვილი.

სხვა-და-სხვა ამბები

ტელეგრაფის ბოძები ქაღალდისაგან. ამერიკაში შემოუღიათ ტელეგრაფის ბოძებად ქაღალდი და სიმაგრით თურმე, ხის ბოძებს სჯობნის.

—

მუშა-მაიმუნები. ამერიკაში ზოგს ქარხნებზე და მაღნებზე მუშაობენ მაიმუნები. იქაური გაზეთები გვაუწყებენ, რომ მაიმუნები მეტად შრომის მოყვარე და ბეჯითი მუშები ყოფილან. მათთვის ერთს ქარხანაზე მიუნდვიათ თავი მაქარის ამორჩევა და ამ საქმეს ისე სწრაფად და კარგად ასრულებდნენ, რომ ერთი მაიმუნის ოდენას რამოდენიმე კაციც ვერ იმუშავებსო. სამუშაოდ დანიშნულს დროზე თითონვე მოიყრიან ხოლმე თავს და მუშაობენ დინჯად და მეცაითად; ჩხუბი არ მოსდით ხოლმე ერთმანეთში და თუ ჩხუბობენ, ისე ხშირად მაინც არა, როგორც ადამიანებს მოსდით ხოლმე.

განცხადებანი

ცნობილის ფაბრიკების

როიალები



პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. грузинс. дворянства.

სარძეო
«ლისი»
სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა № 117 და 118, თეატრის გვერდზედ.

მსურველთ ყოველ-დღე შეუძლიანთ იშოვნონ

რძე, მაწონი, ჩაი, ყავა, კაკაო, ნაღები, კარაქი, შოკოლადი, კრემი ყველი, ნაზუქი, ჟელე, მურაბები მაროჟნი და სხვა ტკბილეულობა ხაჭაპურები, ნაზუქები და ფუნთუშები კარაქით, ყველით, კვერცხით და სხვა-და-სხვა საუზმე.

ფასი ყოველივეზე მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.

გაჭრობა დილიდან საღამომდე.

МОЛОЧНАЯ „ЛИСИ“
Дворцовая ул. д. Грузинск. Дворянст. №№ 117 и 118.
(15—14)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫИ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—209)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში
ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს:
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესახებ დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის ძე სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2.
Страховое Общество **„ЯКОРЬ“**
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: Страхованіе отъ огня, страхованіе жизни и капиталовъ, страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской площади, д. кн. Цицiанова № 2.
(100—62)

ბუღალტერიის შესწავლა
ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს
სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**
ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.
КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,)
3) **Арифметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній, — преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**
ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2 хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**
Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**
(100--75

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Октября 1897 г.
სტამბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია